ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2851436

ნომერი: AR1434183

თარიღი : 05.09.2016

გაცემის თარიღი : 27.09.2016

გაცნობის თარიღი : 27.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ორგანიზაცია:

- იქს ვაი ზეტ არქიტექტსი კოდი: 204566656

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/09/2016წ. AR1434183 განაცხადით მომართეს შალვა ლეკიაშვილმა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს „აფსიდა“-ს დირექტორმა ნოშრევან ლიპარტელიანმა, რომლებმაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, მოქ. მამუკა მგელაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #036/244), შერეული ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი-საზოგადოებრივი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 03 აპრილიდან 2014 წლის 03 ივნისის ჩათვლით, შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, დღეის მდგომარეობით, მშენებლობის ნებართვის ნაწილში აქტი ძალადაკარგულია.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის №882016630454, მომზადების თარიღი: 19/09/2016 20:34:05) თანახმად, დღეისათვის სამშენებლო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.72.14.036.244) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აფსიდა“, ხოლო ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15153069, მომზადების თარიღი: 24/07/2015 15:06:35) თანახმად მის დირექტორსა და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნოშრევან ლიპარტელიანი.

დღეისათვის, განმცხადებელი და მესაკუთრე ითხოვს სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანებით დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვთ აღნიშნული პირობების საფუძველზე ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლების: შალვა ლეკიაშვილის და შპს „აფსიდა“-ს დირექტორის ნოშრევან ლიპარტელიანის 05/09/2016წ. AR1434183 განაცხადი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7),

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.